მერაბ მამარდაშვილი

ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში

ქართული თარგმანი ეკუთვნის

დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Издательская Группа „Азбука-Аттикус“ 2018

ავტორი: მერაბ მამარდაშვილი
მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
სამეცნიერო რედაქტორი: ბაქარ როსტიაშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© ელენე მამარდაშვილი
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4376-1

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა 5

ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში

ლექცია 1 13

ლექცია 2 31

ლექცია 3 55

ლექცია 4 84

ლექცია 5 97

ლექცია 6 124

ლექცია 7 149

ლექცია 8 173

ლექცია 9 196

ლექცია 10 225

ლექცია 11.....236

ლექცია 12 262

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....289–291

რედაქტორის წინასიტყვაობა

მერაბ მამარდაშვილის მიერ 1980 წელს მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის წაკითხული „ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში“ არ წარმოადგენს წარსულის ფილოსოფიის შესახებ აკადემიურ, ისტორიულ მონათხრობს, მასში არ გვხვდება ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსების ნააზრევის სტანდარტული „ინფორმაციული აღწერა“, ფილოსოფიის ისტორიის სქემატური წარმოდგენა, არამედ წარმოადგენს ანტიკური და თანამედროვე აზროვნების საერთო ფუნდამენტური პრინციპების, ფილოსოფიის, როგორც მარადიული აწმყო, ჩვენების მცდელობას; იმ ზოგადადამიანური ფილოსოფიური საწყისების საყოველთაოობის დასაბუთებას, რომლებიც დროის მიღმურია და ეპოქის სულის კონიუნქტურაზე არ არის დამოკიდებული. „... ფილოსოფოსობის ზოგი განსაზღვრული სახით გაგებადი აქტი წარმოადგენს ცხოვრების პირობას (რასაკვირველია, არა ბიოლოგიური ცხოვრების) ზოგი ცნობიერი არსებისა, რომელიც „ადამიანად“ იწოდება. მაგრამ ეს ასევე ნიშნავს, რომ ცნობიერი სიცოცხლე (და არა ზოგადად სიცოცხლე), თუკი ის განხორციელდა (განხორციელებისას კი ის თავის თავში აწნის მსჯელობის, ანუ განსჯის ელემენტებს, დაფიქრებულობის მდგომარეობებს, რომელსაც ფილოსოფია ეწოდება), არის ყოფიერების წესი. რაღაც მარადიული – ცხოვრების აქტები, რადგან ისინი განხორციელდა, ფლობს ყოფიერებას, ანუ მყოფობს ყოველთვის, რაოდენ პარადოქსუ-

ლიც არ უნდა იყოს ეს. ფილოსოფოსი იძულებულია, მიაჩნდეს, რომ მყოფობა, მოხდენა (ანუ განხორციელება) არის ყოფიერების წესი და არა ის, რაც უბრალოდ წარსულში მიდის. რაღაც საზრისით ის ადამიანები, რომლებიც აზრის საშუალებით მყოფობდნენ – ვთქვათ, პლატონი, არისტოტელე, დეკარტი, სოკრატე – ჩვენს თანამედროვეებს წარმოადგენენ. ისინი ცხოვრობენ, ასახლებენ რა იმავე ცხოვრებისეულ სივრცეს, რომელსაც ჩვენ ვასახლებთ, იმ ოდენობით, რომლითაც ჩვენ ვასახლებთ მას, თუმცა შეიძლება, საერთოდ არაფერი დაასახლო და გაქრე როგორც ტალღები ნაპირის ქვიშიდან, კვალის დაუტოვებლად. ფილოსოფიას განსაკუთრებული მიმართება აქვს ადამიანური ფენომენის წარმოშობისა და არსებობის წესთან, რადგან ის თვითქმნადობაზეა დამოკიდებული. ისტორია კი – ეს არის რაღაც არსების თვითქმნადობის აქტების დაფიქსირებული მოვლენები, რომელიც ბუნების მიერ არ იბადება, რომელიც თვითქმნადობის მუშაობისგან დამოუკიდებლად არ იარსებებდა“ – ამბობს მამარდაშვილი. ესაა მცდელობა ფილოსოფია წარმოაჩინოს არა როგორც მკვდარი ცოდნა რაღაც საგანზე, არამედ ძველ ტექსტებში აღადგინოს „აზრის ცოცხალი მხარე“, ის ცოდნა, რომელიც ტექსტის მიღმაა, მაგრამ ტექსტის მეშვეობით იკითხება. „საქმე ისაა, რომ ტექსტის შექმნის მეშვეობით და ლოგიკის კვალდაკვალ, რომელსაც მოითხოვს უკვე არა შენი აზრი, არამედ ტექსტის ხასიათი, ჩვენ საკუთარი თავისთვის პირველად ვარკვევთ საკუთარ აზრს და ვიგებთ, თუ საკუთრივ რა ვიფიქრეთ. ამიტომ, როდესაც უკვე მოგვიანებით, ორი ათასი წლის შემდეგ, ჩვენ ამ ტექსტს ვხვდებით, ის აღმოჩნდება არა წიგნიერი სწავლულობის ელემენტი, არამედ კონსტრუქცია, რომელში შეღწევით შეგვიძლია იმ აზრობრივ მდგომარეობათა გაცოცხლება, რომლებიც ამ ტექსტის მიღმა არსებობს და რომლებიც ადამიანებში მისი მეშვეობით წარმოიშვა“. შესაბამისად, წარსულის ფილოსოფოსების ნააზრევი ავტორისთვის არ წარმოადგენს რაღაც მზა კონსტრუქტს, წარსულში მომხდარ კონკრეტულ აზრობრივ აქტს; მისთვის მნიშვნელოვანია აზრის ყოფიერებითი აქტუალობის სახით განიაზრებოდეს დროში დაცილებული ტექსტი, მასში ამოიკითხოს ფილოსოფოსობის ბუნებითი აქტები.

***

აღნიშნული ლექციები ორიგინალის ენაზე წიგნად რამდენიმეჯერ გამოიცა. პირველად ის გამომცემლობა „Аграф“-მა 1997 წელს გამოსცა. აღნიშნული გამოცემა დედნის მასალებთან არაშესაბამისობით სცოდავდა. ლექციების კრებული ხელახლა გამოსცა „მერაბ მამარდაშვილის ფონდმა“ 2009 წელს (ეს გამოცემა მერაბ მამარდაშვილის ფონდმა ხელახლა გაიმეორა 2016 წელს), რომელსაც თან ერთვოდა ამავე ლექციების აუდიო ჩანაწერი. ხოლო შემდგომი 2012, 2018 წლის და ა.შ. გამოცემები ეკუთვნის გამომცემლობა „Азбука-Аттикус“-ს, რომელმაც 2009 წლის „მერაბ მამარდაშვილის ფონდის“ მიერ გამოცემული ვარიანტი გაიმეორა. ჩვენი გამოცემა სწორედ „Азбука-Аттикус“-ს 2018 წლის გამოცემას ეყრდნობა.

ლექციების წინამდებარე კურსი პირველად ქართულად გამოსცა გამომცემლობა „ქართულმა ბიოგრაფიულმა ცენტრმა“ 2013 წელს. აღნიშნული გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ გამოყენებულია 2012 წლის რუსული გამოცემა, მაგრამ, რეალურად, 1997 წლის არაზუსტ გამოცემას ეყრდნობა, რომელიც მრავალრიცხოვანი შეცდომებითა (საუბარია, რა თქმა უნდა, შინაარსზე გავლენის მქონე შეცდომების შესახებ) და გამოტოვებებით სცოდავს. მოვიტანთ რამდენიმე მარტივ მაგალითს, რათა ცხადი გახდეს, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომელი გამოცემაა შერჩეული:

***

2012 წლის გამოცემის ტექსტი: „Но наша организация – она случайная, конечная, то есть она конкретная, она та или другая“ გვ. 154.

ამჟამინდელი გამოცემა: „მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია შემთხვევითია, სასრულია, ანუ ის კონკრეტულია, ის ან ასეთი ან ისეთია“ გვ. 157.

1997 წლის გამოცემის ტექსტი: „Но наша организация, не случайная, она конкретная, та или другая“ გვ. 116.

2013 წლის ქართული გამოცემის ტექსტი: „მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია შემთხვევითი როდია, ის კონკრეტულია – ის ან ეს“ გვ. 127.

***

2012 წლის გამოცემის ტექსტი: „Пойдем дальше, я напомню рассуждение, которое у меня было в связи с общиной, некими телесными предметами, которые, будучи телесными, в то же время не есть произведения самой спонтанной природы“ გვ. 173.

წინ წავიწიოთ, მე შეგახსენებთ მსჯელობას, რომელიც მქონდა თემთან კავშირში, რაღაც სხეულებრივ საგნებთან, რომლებიც, არის რა სხეულებრივი, ამავდროულად არის თვით სპონტანური ბუნების ნაწარმოები გვ. 177.

1997 წლის გამოცემის ტექსტი: Но пойдем дальше, сейчас я замкну рассуждение, связанное с телесными предметами, которые, будучи телесными, есть произведения самой спонтанной природы გვ. 130.

2013 წლის ქართული გამოცემის ტექსტი: „მაგრამ უფრო შორს წავიდეთ – ახლა მე დავასრულებ განსჯას, დაკავშირებულს ხორციელ საგნებთან, რომლებიც არის რა ხორციელი, წარმოადგენს თვით სპონტანური ბუნების ნაწარმოებს“ გვ. 142.

***

2012 წლის გამოცემის ტექსტი: Они ищут какие-то предметы, называемые воздействиями или атомами გვ. 181.

ამჟმინდელი გამოცემა: ისინი რაღაც საგნებს ეძებენ, რომლებსაც ზემოქმედებები ან ატომები ეწოდება გვ. 184.

1997 წლის გამოცემის ტექსტი: „Они ищут предметы, вызываемые какими-то воздействиями или атомами“ გვ. 134.

2013 წლის ქართული გამოცემის ტექსტი: „ისინი რაღაც ზემოქმედებებისა და ატომებისაგან გამოწვეულ საგნებს ეძებენ“ გვ. 148.

***

2012 წლის გამოცემის ტექსტი „Я не говорю,что есть предмет и наша идея о нем“ გვ. 193.

ამჟმინდელი გამოცემა: მე არ ვამბობ, რომ არის საგანი და ჩვენი იდეა მის შესახებ გვ. 198.

1997 წლის გამოცემის ტექსტი: „Это не есть предмет нашей идеи о нем“ გვ. 144.

2013 წლის ქართული გამოცემის ტექსტი: „ეს არ არის საგანი ჩვენი იდეისა მასზე“ გვ. 157.

ეს ქართული გამოცემა რუსული გამოცემის ვერსიას იმეორებს. ტექსტში არსებული რედაქტორული შენიშვნები ეკუთვნის რუსული გამოცემის რედაქტორს, ელენე მამარდაშვილს. * სიმბოლოთი აღნიშნული შენიშვნები მოტანილია რუსული გამოცემის შენიშვნების ავტორის ა. მიხაილოვსკის მიერ; მითითებები ტექსტში არსებული ციტატების თარგმანებზე ასევე მისია, გარდა შემთხვევებისა როდესაც არსებობდა შესაბამისი ქართული თარგმანები და ისინი მთარგმნელის მიერ არის დამატებული. ზოგ შემთხვევებში ა. მიხაილოვსკი მიუთითებს ჰერმან ალექსანდრ დილსისა და ვალტერ კრანცის მიერ შექმნილ, სოკრატემდელი ძველბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომების მითითებათა სტანდარტული სისტემის ნუმერაციით – (DK).

ლექციებში მ. მამარდაშვილი ბერძენი ავტორების ფრანგული და ინგლისური თარგმანების (შემდეგი წიგნების მიხედვით[1]: *Platon.* Œuvres complètes. Paris: Gallimard, 1950; *Alain*. Les passions et la sagesse. Paris: Bibliothèque de la Pléiade, 1960; Les philosophes célèbres. Paris: ed. Mazenod, 1956; *Vernant J.-P.* Mythe et pensée chez les Grecs. Paris: François Maspéro, 1966; *Guthrie W.K.C.* The Greek Philosophers. From Thales to Aristotle. London: Methuen, 1967) საკუთარ თარგმანს ციტირებს, რითიც აიხსნება განსხვავებები ანტიკური ტექსტების არსებულ რუსულ (შესაბამისად, ქართულ) თარგმანებთან მიმართებაში.

წიგნის გამოცემაში გაწეული საქმიანი დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ელენე მამარდაშვილს.

ბაქარ როსტიაშვილი
თბილისი
მაისი 2022

1. წყაროთა ცხრილი მოამზადა ი. მამარდაშვილმა.

ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში

ლექცია 1

შევეცდები, მოგითხროთ ფილოსოფიის ისტორია, როგორც ფილოსოფია ადამიანთა რაღაც ერთიანი, თუმცა კი დროში გაჭიმული, მცდელობისა, იფილოსოფოსონ და ფილოსოფიის მეშვეობით შეიმეცნონ საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ ის, რისი შეცნობა ფილოსოფიის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ შევეცდებით, ისე მივუდგეთ ამ მასალას, რომ მასში ის ცოცხალი რამეები შევიგრძნოთ, რომლებიც ტექსტის მიღმაა და რომელთა გამო, საკუთრივ, წარმოიშობა კიდეც ის. ეს რამეები ტექსტში, ჩვეულებრივ, კვდება, ცუდად მოჩანს მის გამჭოლ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არის, და ტექსტების კითხვას და მათ შესახებ მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ თავს არა დოგმატური სწავლულობით აღივსებ, არამედ აზრის ცოცხალ მხარეს აღადგენ, რომლის გამო შეიქმნა ისინი.

საქმე ისაა, რომ ტექსტის შექმნის მეშვეობით და ლოგიკის კვალდაკვალ, რომელსაც მოითხოვს უკვე არა შენი აზრი, არამედ ტექსტის ხასიათი, ჩვენ საკუთარი თავისთვის პირველად ვარკვევთ საკუთარ აზრს და ვიგებთ, თუ საკუთრივ რა ვიფიქრეთ. ამიტომ, როდესაც უკვე მოგვიანებით, ორი ათასი წლის შემდეგ, ჩვენ ამ

ტექსტს ვხვდებით, ის აღმოჩნდება არა წიგნიერი სწავლულობის ელემენტი, არამედ კონსტრუქცია, რომელში შეღწევით შეგვიძლია იმ აზრობრივ მდგომარეობათა გაცოცხლება, რომლებიც ამ ტექსტის მიღმა არსებობს და რომლებიც ადამიანებში მისი მეშვეობით წარმოიშვა. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ არანაირი დაწერილი ისტორია დაგვჭირდებოდა და უფლება გვექნებოდა, არ დაგვემახსოვრებინა ის, ხოლო ტექსტებით, წიგნებითა და ხელნაწერებით მხოლოდ არქივარიუსები იქნებოდნენ დაკავებულნი.

ამავდროულად, ფილოსოფიის ისტორიის ჩვენი კურსი იქნება ერთგვარი შესავალი ფილოსოფიაში, მცდელობა მისი თავისებურების მოხელთებისა და იმის, რაშიც მდგომარეობს ფილოსოფოსობის აქტები. ვიმეორებ, მკვდარ ცოდნას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ მივმართავთ წარსულს და ვიგებთ მას მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც იმის აღდგენა შეგვიძლია, რასაც წარსულში ფიქრობდნენ, აზროვნების ჩვენი უნარის სახით, როგორც იმის, რაც შეგვიძლია ჩვენ თვითონ ვიფიქროთ ახლა. პრობლემა ის კი არაა, წავიკითხოთ და შემდეგ გვახსოვდეს ტექსტი, არამედ ის, რომ შევძლოთ გამოთქმა აზრის, რომელიც მასში მდგომარეობს, როგორც XX საუკუნის ადამიანების აქტუალური, ამჟამინდელი აზროვნების შესაძლებლობა.

ფილოსოფიის ისტორიკოსის ან იმ ადამიანის ამოცანა, რომელიც რაღაცას კითხულობს ფილოსოფიის ისტორიიდან, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენთვის ლექსიკურად, ფორმით უცხო ტექსტის კითხვისას, ვიაზროთ განაზრებადი მასში ისე, რის განაზრებას ახლა შევძლებდით. და ეს გულისხმობს, რომ ჩვენ ორი რამ უნდა განვასხვაოთ: ერთი მხრივ, მოძღვრების რაღაც აზროვნებითი შინაარსი, მაგალითად, დემოკრიტესი, მეორე მხრივ კი, ისტორიული ფორმა, რომელშიც იყო ეს შინაარსი გამოხატული, და ის ცნობიერება საკუთარი თავისა და საკუთარი მოძღვრების საზრისის შესახებ, რომელიც არ არის იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ გაიგო და გადმოსცა იგი ფილოსოფოსმა, რომელიც ამ შინაარსს იაზრებდა. შესაბამისად, არის რაღაც ისეთი დემოკრიტეს მტკიცებაში ატომებისა და სიცარიელის შესახებ, რაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თვითონ როგორ გაიგო და გამოხატა ეს

დემოკრიტემ. თითქოს პარადოქსულია – არის დემოკრიტეს აზრი, დამოუკიდებელი თვით დემოკრიტესგან, იმ ფორმისგან, რომელიც მან ამ აზრს მიანიჭა, გამოთქვამდა, ამტკიცებდა და გადასცემდა რა მას სხვებს.

მეტიც, იმით, რასაც მოგითხრობთ, თქვენ უნდა ისარგებლოთ როგორც კალკით ტექსტის გასაგებად. მე არ შევუდგები ტექსტების გადმოცემასა და კვლავწარმოებას: ლექტორი გამამრავლებელი აპარატი არ არის და არ აქვს აზრი იმის კვლავწარმოებას, რაც უკვე გაკეთებულია. ტექსტი დაბეჭდილია ეგზემპლართა ენური რაოდენობით და არ არის მისი გამეორების ან ხელახლა გადმოცემის აუცილებლობა. ჩემი ამოცანა სხვა რამეში მდგომარეობს: რადგან თქვენ შეგიძლიათ ერთ ხელში ტექსტი დაიკავოთ, მე შევეცდები ისე გავაკეთო, რომ მეორე ხელში გქონდეთ კალკი მისთვის. მე სიტყვასიტყვით ვგულისხმობ კალკს. თქვენ გამჭვირვალე ქაღალდს დებთ ტექსტზე, და ამ ქაღალდზე უნდა იყოს ის, რაც არ არის ტექსტში. ტექსტი მოჩანს კალკის გამჭოლ, და კალკზეც არის რაღაც დაწერილი, ხოლო ერთის მეორესთან გაერთიანება დაგეხმარებათ ტექსტების გაგებაში, ფილოსოფიის ისტორიის გაგებაში.

და კიდევ: თუ ჩვენ ტექსტს ისე მივუდგებით როგორც არა სწავლულობის მკვდარ ტვირთს, არამედ როგორც რაღაც ცოცხალს, სადაც აზრის პულსი ცემს, მაშინ ტექსტების კითხვას აქვს აზრი. საჭიროა გამუდმებით დავიჭიროთ საკუთარ ცნობიერებაში ფილოსოფიის მიმართება ჩვენი ცხოვრებისადმი, ანუ ვცადოთ ისეთი მიმართება დავადგინოთ ჩვენ და ფილოსოფიას შორის, რომ ფილოსოფია წარმოდგებოდეს რაღაც ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან მოვლენად, რომელსაც მიმართება აქვს ჩვენს ჩვეულ, ყოველდღიურ ცხოვრებასთან იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის ცნობიერია, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ვცდილობთ ვიცხოვროთ ცხოვრება როგორც ცნობიერმა და ამ დახასიათების ღირსმა არსებებმა. ჩვენ, ვერ ვამჩნევთ რა ამას, ხანდახან კი ვამჩნევთ, ვასრულებთ ფილოსოფოსობის აქტებს თვით ცხოვრებაში, რადგან ფილოსოფოსობის აქტების შესრულება წარმოადგენს ცხოვრების განსაზღვრული სახეობის პირობას. მაშინ ცხადია, რისთვის გვჭირდება ფილოსოფიის ისტორია. ის ჩვენ გვჭირდება – და ეს შესაძ-

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
12. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – რა არის მედიტაცია?
40. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

41. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
42. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

43. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
44. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

45. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
46. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

47. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
48. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
49. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
50. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

51. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
52. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

53. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
54. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

55. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
56. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
57. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

58. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
59. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
60. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

61. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
62. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
63. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე